

### ანზორ აბრალავა

გეონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ANZOR ABRALAVA

*Doctor of economic Science,  
professor of Georgian Technical University*

### ანოტაცია

დღეს, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა რესურსების მობილიზაცია, ინოვაციური პროცესების განვითარება, ადამიანური რესურსების მართვის ახალი სოციალური ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, რომელიც მიმართული იქნება მინიმალური მატერიალური დანახარჯებით შესაძლო მაქსიმალური ეფექტის მიღწევისაკენ. წარმოშობა ორგანიზაციის ინოვაციური პროცესების განვითარების მოთხოვნილება.

სიახლის შემოღება წარმოადგენს ინოვაციური პროცესის შედეგს, რომელიც ახორციელებს მეცნიერული ცოდნის ტრანსფორმაციას ინოვაციაში.

ინოვაციური პროცესის მთავარი განსხვავება ინოვაციური საქმიანობისაგან ინოვაციის სავალდებულო დასრულებაში გამოიხატება ანუ შედეგის მიღებაში, რომელიც პრაქტიკული რეალიზაციისათვის გამოსადეგია.

ინოვაციის დანერგვის პრაქტიკაში გამოიყოფა ინოვაციური პროცესის მოდელების რამდენიმე თაობა მისი შიგა სტრუქტურის აღსაწერად: ინოვაციური ჯაჭვის მარტივი მოდელიდან როგორიცაციონათშორისი და მუდტი ინსტიტუციონალური სტრუქტურის ურთიერთქმედების მოდელამდე. როცა ორგანიზაცია ხდება უფრო ფართო ინოვაციური სისტემის-ეროვნული ინოვაციური სისტემის (ეის) - ელემენტი.

**საჭანმო სიტყვები:** ინოვაცია, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური ჯაჭვი, ინტეგრირებული მოდელი, ციკლურობა, ალბათობა, საბაზო მიზიდულობა.

### Abstract

Today, in financial and economic crisis conditions, effective means represents mobilization of organization's internal resources, development of innovative processes, creation and implementation of new social technologies of human resources management, which will be directed to minimal material costs to possible to achieve the maximum effect. It will arise the demand of development of innovative processes.

The introduction of innovation represents a result of innovative process, which implements the transformation of scientific knowledge in innovation.

The main difference between the innovation process from innovative activity, is expressed to ending mandatory innovation. So, to get the results, which is suitable for practical implementation.

In innovation practice, there are several models of innovation process: for describe its internal structure: from simple model of innovative chain to the among-function and multi-institutional structure's interaction model. When the organization becomes wider innovative system's (WIS) element.

**Key words:** Innovation, innovative process, Innovative chain, Integrated model, Cycle, Probability, Market attraction.

დღეს, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა რესურსების მობილიზაცია, ინოვაციური პროცესების განვითარება, ადამიანური რესურსების მართვის ახალი სოციალური ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, რომელიც მიმართული იქნება მინიმალური მატერიალური დანახარჯებით შესაძლო მაქსიმალური ეფექტის მიღწევისაკენ. წარმოიშობა ორგანიზაციის ინოვაციური პროცესების განვითარების მოთხოვნილება.

ინოვაციური პროცესი - არის სამეცნიერო ცოდნის გარდასახვა ინოვაციად. მისი მთავარი მახასიათებელი არის - ინოვაციის საგადაებულო დასრულება, ანუ ისეთი შედეგის მიღება, რომელიც ვარგისია პრაქტიკული რეალიზაციისათვის [10].

ინოვაციური პროცესისათვის დამახასიათებელია:

- სისტემურობა;
- ციკლურობა;
- ალბათობა;
- სოციალური მნიშვნელობა.

ინოვაციური პროცესის სისტემური ხასიათი არის მისი მიზანმიმართულობის მაჩვენებელი. ამიტომ ინოვაციური პროცესის ყველა ორგანიზაციული ერთეული იგება ინტერესების ბალანსის პრინციპზე, რომელიც განსაზღვრავს განვითარების საერთო ვექტორს.

ინოვაციური პროცესი ხასიათდება ციკლურობით, რაც გამოვლინდება მრავალმხრივი უკუკავშირის შედეგით. ინოვაცია - ეს ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური ციკლია, რომელშიც კვლევებისა და შემუშავებების სფეროს შედეგები უშუალოდ იწვევს ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ცვლილებებს, რაც ამ სფეროს საქმიანობაზე უკუ ზემოქმედებას ახდენს. უკუკავშირს აქვს სხვა ხასიათი, თუ ინოვაცია ინერგება, მაგრამ არ იძლევა საჭირო ეკონომიკურ ეფექტს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური სიტუაცია უარესდება, რესურსების მოცულობა, რომლის ხარჯზეც ვითარდება ინოვაციური პროცესი, მცირდება, შედეგად პროცესი ჩერდება.

ინოვაციური პროცესის ვექტორული ხასიათი ვლინდება იმაში, რომ ყველა დაწყებული კვლევისა და შემუშავებისას გამოგონების პროგრამას არა აქვს წარმატების შანსი, გარანტირებული არ არის ბაზარზე წარმატების მიღწევა, არ არის განსაზღვრული გავრცელების პერსპექტივები.

გამოგონების წარმოშობასა და მის გამოყენებას შორის დრო (ინოვაციური ციკლი) იცვლება ტექნოლოგიური დონის, გარემოს ადაპტირების თავისებურების და გარე ეკონომიკური

პირობების მიხედვით. თუ მაღაგანვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური ციკლის ხანგრძლივობა შეადგენს 5-6 წელს, მაშინ განვითარებულ ში - 5-25 წელს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 15-25 წელს. [ 10].


ინოვაციურ პროცესს გააჩნია სოციალური მნიშვნელობა, რადგან პროცესი მიმდინარეობს სოციალურ გარემოში, ითხოვს ცხოვრებისადმი სოციალურ მოთხოვნებს და თან ახლავს სოციალური ცვლილებების პროცესი. ამიტომ ინოვაციური პროცესების კვლევის, დაგეგმვისა და მართვის დროს საჭიროა მათი სოციალური შედეგის გათვალისწინება.

ინოვაციური პროცესის არსი და შინაარსი შეიძლება გამოვხატოთ სხვადასხვა პოზიციიდან და დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით. პირველ რიგში, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური, საწარმოო საქმიანობის და მარკეტინგის პარალელურ-თანმიმდევრობითი განხორციელება. მეორეს მხრივ, მას აიგივებენ სიახლის დანერგვის სასიცოცხლო ციკლის დროით ეტაპებთან იდენტისა ხასახვის მომენტიდან მისი შემუშავების და გავრცელების მომენტამდე. მესამეც, ის შეიძლება გამოვხატოთ შემუშავების ფინანსირებისა და ინვესტირების თვალაზრისით და ახალი სახის პროდუქციისა და მომსახურების გავრცელების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ის გამოდის ინოვაციური პროექტის როლში. [ 11]

ინოვაციური პროცესი - ეს არა უბრალოდ რაღაც ახლის დანერგვა, არამედ ისეთი ცვლილებებია საწარმოო და მმართველობითი პროცესების ორგანიზაციის მიზნებში, პირობებში, შინაარსში, საშუალებებში, მეთოდებში, ფორმებში, რომლებიც:

- ფლობენ სიახლეებს;
- ფლობენ ამ პროცესების ეფექტიანობის ამაღლების პოტენციალს მთლიანად ან მის ნაწილს;
- შეუძლიათ მისცენ გრძელვადიანი სასარგებლო ეფექტი, რომელიც გაამართლებს სიახლეების დანერგვაზე გაწეულ ხარჯებს;
- შეთანხმებული არიან სხვა სიახლის დანერგვის განხორციელებული სიახლის დანერგვის ხარისხი არსებითად დამოკიდებულია იმაზე, როგორ არის ორგანიზებული ინოვაციური პროცესი.


ინოვაციის დანერგვის პრაქტიკაში ინოვაციური პროცესის გარე სტრუქტურის აღწერისათვის გამოიყენება რამდენიმე მოდელი.



**ნახ. 1. ინოვაციური პროცესის პირველი თაობა (1G) [12].**

ინოვაციური ჯაჭვი - ინოვაციური პროცესის უმარტივესი მოდელი - წარმოადგენს მთელი პროცესის ცალკეულ ნაწილებად (ფუნდამენტურ ან სტრუქტურულ), ეტაპებად დოგიკური დანაწევრების შედეგს. ინოვაციური პროცესის მოცემული მოდელი შემუშავებული იქნა გასული ასწლეულის 50-იან წლებში. იმ დროს წამყვანი ეკონომისტები თვლიდნენ, რომ ინოვაციურ პროცესს გააჩია წრფივი თანმიმდევრული ხასიათი და თავის თავში აერთიანებს მეცნიერულ აღმოჩენებს, სამრეწველო


კვლევებსა და ძეგუავების, საინიციოო და საწარმოო საქმიანობას, მარკეტინგს და ბოლოს, ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და პროცესის გამოჩენას (ნახ.1). მოდელის უპირატესობა მის სიმარტივეშია, ნაკლოვანება - არის ის, რომ უყურადღებოდ ტოვებს ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს შორის კომპლექსურ კავშირებს, უკუკავშირის მექანიზმს, არ ითვალისწინებს იდეებს, რომელიც წარმოიშობა მოცემული კვლევითი ქვედანაყოფის გარეთ და ასევე არ ითვალისწინებს გარე პირობებს.



**ნახ. 2. ინოვაციური პროცესის მეორე თაობა (2 G)[13].**

ინოვაციის „საბაზო მიზიდულობის“ წრფივმა მოდელმა (market pull, need pull) ფართო გამოყენება პპოვა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მოდელი გულისხმობდა, რომ ინოვაცია წარმოიშობა მყიდველის მოთხოვნილების აღმოჩენის შედეგად,

მკვეთრად ფოკუსირებული და კვლევისა და (შემუშავების) გამოგონების შედეგად, რომელიც ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენით მთავრდება. სამეცნიერო-კვლევითი გამოგონები ამ შემთხვევაში წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნაზე რეაქციას.




**ნახ.3. ინოვაციური პროცესის მესამე თაობა (3 G) [13].**

რ. როსეველის მიხედვით ინოვაციური პროცესის მესამე თაობა ჯერ კიდევ თანამიმდევრულია, მაგრამ უკუკავშირებით [9]. მესამე თაობის სიახლის დანერგვის პროცესის საყოველთაოდ აღიარებული მოდელს წარმოადგენს კლაინ-როზენბერგის (S.J. Kline, N. R Rosenberg) ჯაჭვური მოდელი (chain-link model), რომელიც ინოვაციურ პროცესს ჰყოფს ხუთ სტადიად (ნახ.3). პირველ სტადიაზე იდენტიფიცირდება მოთხოვნილება პოტენციურ ბაზარზე. მეორე სტადია იწყება ახალი პროცესის ან საქონლის ანალიტიკური პროექტის გამოგონებით ან შექმნით, რომელიც როგორც დაგეგმილია დაკამაყოფილებს

ნაპოვნ მოთხოვნილებას. მესამე სტადიაზე ხდება დეტალური პროექტირება და გამოცდა, ან ინოვაციის ფაქტიური შემუშავება. მეოთხე ეტაპზე გამოჩენილი პროექტის გადაპროექტება ხდება და საბოლოოდ სრულმასშტაბიან წარმოებაში ხდება. დამამთავრებელი მეხუთე სტადია ინოვაციას წარმოადგენს ბაზარზე, ახდენს რა მარკეტინგული და გამანაწილებელი საქმიანობის ინიცირებას.

დღეისათვის არავინ უარყოფს რომ მესამე მოდელში წარმოდგენილი ახალი მოთხოვნილებები ინოვაციური იდენტიფიცირების მირითად წყაროს წარმოადგენს.




ნახ. 4. ინოვაციური პროცესის მეოთხე თაობა (4 G). [14]

ინოვაციური პროცესის ინტეგრირებულმა მოდელმა (მეოთხე თაობა), რომელიც კომპანიის პრაქტიკაში გამოჩნდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, გვიჩვენა დაგვანახა ინოვაციის როგორც თანმიმდევრული პროცესის განხილვიდან პარალელური პროცესის გაგებაზე გადასვლა, რომელიც ერთდროულად გააერთიანებდა გამოკვლევებისა და გამოგონებების ელემენტებს, პროტოტიპის შემუშავებას (გამოგონებას) და ა.შ. ეს მოდელი გამოსახავს ინფორმაციის გადამუშავების საზოგადოებრივი პროცესის უწყვეტობას და ავტომატიურობას. ამ პროცესის ჩაკეტილობა

იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ შეუძლებელია ინოვაციის პირველი და ბოლო ეტაპის, ამპროცესის დასაწყისის დადასასრულის განსაზღვრა; სისტემის წარმოქმნასთან ერთად ინფორმაციის, ინოვაციის სერიის, უწყვეტი განახლება იწყება.

ნახაზზე წარმოდგენილი მოდელი, დაფუძნებულია კ. ოპენლენდერის [12] შრომაზე, რომელიც როსველის მეხუთე მოდელის სახეს გამოიყენება იმ ნაწილში, სადაც ხდება სიახლის დანერგვის პროცესში გარე და შიგა ინსტიტუტების ურთიერთკავშირი.

რ. როსველის მეხუთე მოდელში ინოვაციური



**Ба.5. инновационный процесс, основанный на трансформации и развитии** [15]

პროცესი წარმოადგენს არა მარტო ფუნქციონა-  
თშორისს, არამედ ატარებს მულტინსტრუმენ-  
ტალურ, ქსელურ ხასიათს და ასახავს ძირითადი  
ინსტიტუტების (თვით კომპანიის, მისი მომწოდე-  
ბლების, კონკურენტების, მომხმარებლების) ურთ-  
იერთქმედებას, რომლის შედეგს წარმოადგენს  
ინოვაცია.

სისტემა „ნეოკაპიტორი“ აერთიანებს მთელ პერ-  
სონალს და წარმოების ფაქტორებს, რომლებიც  
უშეალოდ იღებენ მონაწილეობას კვლევებში,  
გამოგონებებში და ახალი ტექნოლოგიის ათ-  
ვისებაში. მეორეს მხრივ, ეს სისტემა წარმოად-

გენს სხვა უფრო ფართო სისტემის-ორგანიზა-  
ციის ნაწილს, რომელიც შეიძლება გაიგივდეს  
წარმოებასთან, მას მიეკუთვნებიან სიახლის დან-  
ერგვის პროცესის მონაწილეები. და ბოლოს, ორ-  
განიზაცია წარმოადგენს უფრო გაფართოებული  
მთლიანის ნაწილს, ანუ ერთიანი ინოვაციური  
სისტემის, ინოვაციური ინფრასტრუქტურის მრა-  
ვალრიცხოვან ელემენტებს. ასეთმა სისტემამ  
ამ ბოლო დროს მიიღო ეროვნული ინოვაციური  
სისტემის (ეის) სახელწოდება.

## ლიტერატურა/REFERENCES

1. А. Абрамовская, „Генерация инноваций в инновационном процессе“, т. 1, 2012.
2. Г. Абрамова, В. Даташвили, Г. Накидзе, Р. Кутателадзе. Иностранные инновации в производстве. Тбилиси, 2008.
3. Л. Гаважашвили, Р. Кутателадзе. Система инноваций. Междисциплинарный подход. Тбилиси, 2009.
4. Шумпетер Й. Теория экономического развития. - М.: Прогресс, 1982. - С. 169-170.5. Schumpeter J. Business Cycles: A Theoretical, Historical and Statistical Analysis of the Capitalist Process. - N.Y.-L., 1939. p. 62.6. Кондратьев Н.Д. Избранные сочинения. - М.: Экономика, 1993. - С. 47.
7. Schumpeter J. A. The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle. - USA, MA, Cambridge: Harvard University Press, 1934. - 255 pp.
8. Шумпетер Йозеф Алоиз. Теория экономического развития. - М., 1982. - С. 159.
9. Rothwell R. Towards the fifth-generation innovation process // International Marketing Review. - 1994. - Vol.11. - №1. - P.7-31.
10. См.: Бурнышева Т., Михайлова Н. Инновационный менеджмент (Обзор литературных источников) // Инновации в постсоветской промышленности / Под редакцией В.И.Кабалиной. Часть 1. Сыктывкар: изд-во Сыктывкарского ун-та, 2000. - С. 146-147.
11. Медынский В. Г. Инновационный менеджмент. - М. : ИНФРА-М, 2002. - С. 24.
12. Оппенлендер К. Технический прогресс. - М.: Прогресс, 1981.
13. Иванова Н. Национальные инновационные системы // Вопросы экономики. 2001. - №7. - С.61. С.70.
14. См.: Дракер П.Ф. Новые реальности. В правительстве и политике. В экономике и бизнесе. В обществе и мировоззрении. М.: Бук Чембэр Интернэшнл, 1994.
15. Цит по: Предпринимательство / Под ред. М.Г. Лапусты. - 3-е изд., испр. И доп. - М.: ИНФРА-М, 2003. - С. 11.